CPV 71319000

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №3/76

(სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად მომსახურების შესყიდვაზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით)

ქ. თბილისი 12 სექტემბერი 2017 წ.

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (შემდგომში წოდებული "შემსყიდველად") წარმოდგენილი კანცლერის მოვალეობის შემსრულებლის, ალექსანდრე ბუაჩიძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ თამაზ ხმელიძე (შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად"), ვდებთ ამ ხელშეკრულებას (საფუძველი თსსუ-ს ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, კ. თხელიძის სამსახურებრივი ბარათი კანცელარიის ნომერი #MES 5 17 00870779 25.07.2017წ.) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ქ. თბილისში ვაჟა ფშაველას გამხ.#33-ში მდებარე თსსუ-ს პირველ სასწავლო კორპუსზე მიშენებული ერთსართულიანი ვესტიბიულის (ფოიე) სახურავზე სასადილოს და ვესტიბიულის სარდაფში მრავალფუნქციური დარბაზის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა (სამშენებლო სამუშაოების შესახებ საქრთველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სხვა, სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული, ნორმატიული აქტის შესაბამისად).

2.მომსახურების გაწევის წესი და ღირებულება

2.1. მომსახურების გაწევის ვადაა 15 დღე მოცემული ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 3900 (სამი ათას ცხრაასი) ლარს.

2.3 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მოსაკრებლებს და სხვა.

2.4 ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურების გაწევა დასტურდება მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელსაც ხელს აწერენ „შემსყიდველის“ და „მიმწოდებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

3.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს“ წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, მომსახურების გაწევის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:

5.1.2. უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.2.1. პასუხი აგოს გაწეული მომსახურების ხარისხზე.

5.2.2. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა დადგენილი პირობების შესაბამისად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ხელშეკრულების ღირებულების 10% -ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 (ათი) ლარისა.

6.3. საჯარიმო სანქცია არ ათავისუფლებს მიმწოდებელსა და შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

7.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე კონტროლს განახორციელებს თსსუ-ს ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი.

10. დამატებითი პირობები

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს. ხელშეკრულების მოშლის გადაწყვეტილების შესახებ ერთ-ერთი მხარე ატყობინებს მეორე მხარეს 2 დღით ადრე.

10.4. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

10.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11. დავათა განხილვის წესი

11.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტი
ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 33
საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703
სახელმწიფო ხაზინა, კოდი თღEშGE22
ა/ა GE24 NB 0330100200165022

"მიმწოდებელი"

ი/მ თამაზ ხმელიძე
იურიდ. მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ., №68
ფაქტ. მის: დ/მასივი, კვარტ. V, კორპ. XX, ბინა 77
საიდენტიფიკაციო ნომერი 01006004181
ს.ს ლიბერთი ბანკი, კოდი LBRTGE22
ა/ა GE04LB 0112 1680 7920 7000

თსსუ-ს კანცლერის მოვალეობის შემსრულებელი
ალექსანდრე ბუაჩიძე

ი/მ თამაზ ხმელიძე